



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 37

2013 წლის 19 თებერვალი

ქ. ხაშური




არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა“-ს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხაშურსერვისი“-სთან შერწყმის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-14<sup>ა</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

1. განხორციელდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა“-ს შერწყმა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირ „ხაშურსერვისი“-სთან.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს ამ განკარგულების აღსრულება.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელისმოწერისთანავე.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე